



## კომპანია „არმეტის“ წარმომადგენლები საბავშვო ბაღებში

22 ოქტომბერს, კომპანია „არმეტის“ წარმომადგენლებმა მორიგი საქველმოქმედო ღონისძიება გამართეს დაბა კაზრეთისა და სოფელ ბალიჭის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისთვის.


კომპანიამ კაზრეთის ბაღის ორი ახალი ჯგუფისთვის 60 საწოლი შეიძინა, ხოლო ბალიჭელ ბავშვებს საჩუქრად სამი კარადა და



ტელევიზორი გადასცა. „არმეტის“ წარმომადგენლებმა ბაღში მისულ აღსაზრდელებს ტკბილეულობითა და ფერადი ბუშტებით უმასპინძლეს.

**ჯილდა ჭინჭარაძე, დაბა კაზრეთის საბავშვო ბაღის მენეჯერი:**  
„მახსოვს ის დღე, როდესაც

კომპანიის წარმომადგენლებმა დიდი გულისყურით დაათვალიერეს ჩვენი ბაღი. დაინახეს ჩვენი პრობლემები, რომ ორ ჯგუფს საწოლები არ ჰქონდა და აღსაზრდელები ვერ იძინებდნენ. ბავშვთა საერთაშორისო დღეს მათ დიდი საჩუქარი გაგვიკეთეს და მუსიკალური ცენტრი გადმოგვცეს, ბავშვებს კი ტკბილეული აჩუქეს. ერთ დღესაც თვითონ გადანყვიტეს, რომ სიურპრიზი



მოეწყო ჩვენთვის და 60 საწოლი მოგვიტანეს მატრასებთან ერთად. მათი ასეთი ყურადღება ძალიან გვიხარია. დიდ მადლობას ვუხდით ყველას, ვინც ასეთი სახით სიკეთის კეთებაში მიიღო მონაწილეობა. მუდამ ჰქონოდეთ სურვილი და შესაძლებლობა მსგავსი ქველმოქმედების ჩასატარებლად.”

**ნათია მოსეშვილი, დაბა კაზრეთის საბავშვო ბაღის თანამშრომელი:**

„ბაღის თანამშრომლები ძალიან კმაყოფილები ვართ. მშობლებმაც

გაგრძელება მე-2 გვ.



## დასაწყისი პირველ გვერდზე

ძალიან დიდი სიხარული და კმაყოფილება გამოხატეს, როდესაც



გაიგეს, რომ „არემკიმ“ საწოლები გადმოგვცა საჩუქრად. გვიხარია, რომ ასეთი სახის თანამშრომლობა შედგა კომპანიასა და კაზრეთის ბაღს შორის. მათი დახმარებით ჩვენს პატარებს კიდევ უფრო ბედნიერ და ლამაზ მომავალს შევუქმნით. დიდი მადლობა „არემკის“!

**ნინო ჭაჭანიძე, სოფელ ბალიჭის საბავშვო ბაღის მენეჯერი:**

„ჩვენი სტუმრები იყვნენ ძვირფასი ადამიანები, კომპანია „არემკის“



წარმომადგენლები, რომლებმაც საუკეთესო საჩუქრები გაუკეთეს ჩვენს ბავშვებს. გვაჩუქეს კარადები და ტელევიზორი, რისთვისაც უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ მათგანს. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიის მხრიდან მსგავს ღონისძიებებს უკვე სისტემატური სახე მიეცა და იმედი მაქვს, ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება.“



## კაზრეთელი კადეტების მორიგი მამარჯვება

17-19 ოქტომბერს ქალაქ ბოლნისში თენგიზ და ამბროსი მაისურაძეების სახელობის რესპუბლიკური ტურნირი გაიმართა. ტურნირში ორი ასაკობრივი ჯგუფი - 1999-2000წწ და 2001-2003წწ დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. შეჯიბრებაზე მონაწილეები იყვნენ კასპის, რუსთავის, თბილისის, გარდაბნის, დმანისისა და მარნეულის გუნდები. აღნიშნულ ტურნირზე მოპოვებული მედლების რაოდენობით პირველი ადგილი ელგუჯა ბასილაშვილის გუნდმა დაიკავა – ხუთი სპორტსმენი ჩემპიონი გახდა.

**ელგუჯა ბასილაშვილი, დაბა კაზრეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდის მწრთველი:**

„ტურნირის დასრულების შემდეგ გვყავს 5 ჩემპიონი, 6- მეორე პრიზიორი და 4 - მესამე პრიზიორი. რა თქმა უნდა, შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ და კიდევ უფრო დიდი შემართებით ვემზადებით



ხაბელოვის სახელობის შეჯიბრებისთვის. ბოლნისში ჩატარებული ტურნირის ჩემპიონები არიან: ლუკა ბალახაძე (20კგ), ბაჩუკი ავალიშვილი (32კგ), სანან ქაზუმოვი (54კგ), გივი დემურაშვილი (58კგ) და მათე იასარაშვილი (63კგ). ჯგუფურ პირველ ადგილზე ბოლნისი გავიდა, მეორე-მესამე ადგილზე კი კასპისა და თბილისის გუნდები გადანაწილდნენ. მადლობა „არემკის“, რომ მხარში გვიდგას და კაზრეთელ კადეტებს კიდევ უფრო მეტად აძლიერებს თავისი მხარდაჭერით.“





17 ოქტომბერს, კომპანია „არემტის“ ორგანიზებით, ყაჩაღიანის უბანზე მედიატური მოედნო. ჟურნალისტებს საშუალება მიეცათ შესულიყვნენ მაღაროში და საკუთარი თვალით ენახათ, თუ რას წარმოადგენს ყაჩაღიანის უბანი. მედიატურა იყვნენ ჩოგორს ტელევიზიის, ასევე ინტერნეტმაგამოცემებისა და ბეჭდური მედიის წარმომადგენლები.



**ნანა შონია, გაზეთი „პრაიმტაიმი“ და საინფორმაციო სააგენტო „პრაიმტაიმი ნიუს“-ი:**

„ჩემთვის, როგორც ყაჩაღიანის პრობლემაზე მომუშავე ჟურნალისტისთვის, დღევანდელი დღე ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ვთვლი, რომ აზრთა სხვადასხვაობა და გაუგებრობა ამ ობიექტის ირგვლივ უნდა დასრულდეს. ამიტომაც, მისასალმებელია კომპანია „არემტი გოლდ“-ის ახალი მენეჯმენტის ახლებური მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით. ის, რომ დაინტერესებული პირები ობიექტზე მოხვედრას ნებისმიერ დროს კომპანიის დახმარებით შეძლებენ, ეს ბევრ სპეკულაციასა და აზრთა სხვადასხვაობას დაასრულებს. როდესაც ჟურნალისტისთვის ობიექტი დახურულია, ეს თავისთავად აჩენს კითხვას. რაც არ უნდა მწვავე იყოს პრობლემა, ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს. დღეს მედიის წარმომადგენლებმა, სიმწვავის მიუხედავად, ყველა დასმულ კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღეს. მისასალმებელია, რომ „არემტი გოლდ“-ის ახალი მენეჯმენტი კითხვებზე პასუხის გასაცემად სრულ მზადყოფნას გამოხატავს“.

**ლიზა წიკლაური, პირველი არხი, საინფორმაციო გამომშვება „მოამბე“:**

“ჩემთვის, როგორც საინფორმაციო გამომშვების წამყვანისთვის, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო ამ მედიატურში მონაწილეობა. კომპანიის გეოლოგებმა დავათვალიერებინეს ყაჩაღიანის ობიექტი და მოგვანოდეს ამომწურავი ინფორმაცია. ვფიქრობ, რომ აღნიშნული პრობლემის გადაჭრისას აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ორივე მხარის ინტერესები, ერთის მხრივ, მეცნიერების, ხოლო მეორეს მხრივ- კომპანიის, რომელსაც ამდენი ადამიანი ჰყავს დასაქმებული.”

**თამარ ოქრუაშვილი, გაზეთი „ალია“:**

“ამდენი ხნის განმავლობაში ეთერიდან თუ გაზეთებიდან იმდენი ურთიერთგამომრიცხავი აზრი ისმის საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვის გარშემო, რომ მხოლოდ ამიტომ ღირდა ობიექტის ნახვა. არქეოლოგებსა და ისტორიკოსებს შორის არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. გეოლოგთა უმრავლესობას განსხვავებული შეხედულება აქვს ბორცვის ირგვლივ. მისასალმებელია, რომ „არემტი

ჯგუფმა“ ამდენი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ჟურნალისტებს მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენი თვალთ გვენახა, თუ რას წარმოადგენს ეს ყბადაღებული ობიექტი. დათვალიერების შემდეგ გაჩნდა უამრავი კითხვა, რომელზეც პასუხი, პირველ რიგში, იმ არქეოლოგების პრეროგატივაა, რომლებიც ბორცვის უნიკალურობას ეჭვქვეშ არ აყენებენ. ყველაფერი ვნახეთ, შეგვექმნა გარკვეული წარმოდგენაც და ინტერესით ვადევნებთ თვალს ამ საკამათო საკითხის სამართლებრივ გადაწყვეტას.”

**მაგდა დევნოზაშვილი, გაზეთი „ბოლნისი“:**

“ჟურნალისტებმა კომპანია „არემტის“ მიერ მოწყობილ მედიატურში მივიღეთ მონაწილეობა და დავათვალიერეთ ყაჩაღიანის ბორცვი. გეოლოგების დახმარებით გავეცანით გვირაბში შექმნილ მდგომარეობას და უბნების გეოლოგიურ მნიშვნელობას. დავათვალიერეთ ნაპრალები. დავინახეთ, რომ ამ ეტაპზე ობიექტზე არანაირი სამთო-გეოლოგიური სამუშაოები არ მიმდინარეობს.”





# კომუნიკაცია მენეჯმენტსა და მშრომელებს შორის

“არემაზის” პროფესიული კავშირის წარმომადგენლები კომპანიის ახალ მენეჯმენტთან არსებულ დიალოგსა და კომუნიკაციაზე დადებითად მიანიშნებენ. ამბობენ, რომ ყველა საკითხი, პრობლემურიცაა თუ მნიშვნელოვანი მიუხედავად, შეუძლიათ თავისუფლად გააუქმონ ადმინისტრაციასთან იმ იმედით, რომ მათ აუცილებლად მოუსმენენ და პრობლემის გადაწყვეტის გზასაც ერთობლივად მოიხსნავენ.

## ცირა მენტეშაშვილი, კარიერის პირველადი პროფ. ორგანიზაციის თავმჯდომარე:

“პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე, ახალი მენეჯმენტის დახმარებით, ძალიან დათბა ურთიერთობები. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პრობლემა დარჩენილი, მაინც ვფიქრობ, რომ დიალოგის ფორმატი ძალიან მნიშვნელოვანია. კონკრეტული საკითხები და პირობები, რაც შეთანხმების მიხედვით უნდა შესრულდეს, მოგვარების პროცესშია. სხვაობა ყოფილ და ამჟამინდელ მენეჯმენტს შორის დიდია. ადრე, ელემენტარულად, არ იყო კომუნიკაცია და ხშირად დიდ ფასად გვიტდებოდა რომელიმე დირექტორთან

შეხვედრა. ახლა ეს ასე არ არის. დიალოგის რეჟიმს ყოველთვის მოაქვს შედეგი. შეიძლება, ყველაფერი ისე კარგად არ იყოს, მაგრამ მათი მზაობა უკვე გაცხარებულ კერებს აქრობს. მშრომელების მხრიდან განწყობაც აღქმადურია. ისინი უფრო დადებითად უყურებენ სიტუაციას, რადგან აღარ უჭირთ ურთიერთობები, არ უჭირთ თავისი პრობლემების მიტანა კომპეტენტურ ადამიანამდე. ეს მათთვის ბევრს ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საბოლოოდ მათი გულისმოგება მხოლოდ შეთანხმების პირობების შესრულებით შეიძლება, რომლის საკვანძო საკითხები ჯერ კიდევ შესასრულებელია. იმედი მაქვს, რომ ახალი მენეჯმენტი წინამორბედის შეცდომებს არ გაიმეორებს.

## აფთხილი ბაქრაძე, გამამდიდრებელი ფაბრიკის პროფ. ორგანიზაციის თავმჯდომარე:

“ხშირად ვაწყობთ ტურებს - კომპანიის თანამშრომლები დადიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გასულ წელს საკმაოდ დიდი დახმარება გვქონდა “არემჯი კოპერის” მხრიდან. დაახლოებით ერთი ტონა სანავი გადმოგვცეს, რის საშუალებითაც 16-მდე ღონისძიება მოვანყეთ. მგზავრობისა და კვების ხარჯები პროფკავშირებმა გაიღო. ამ წელს 7 ღონისძიება მოვანყეთ და სანავი ისევ წარმოებამ გამოგვიყო. გარდა ამისა,

გასული წლის მიწურულს ვიყავით ანკარაში, სპეციალიზებულ სემინარებზე. ადმინისტრაციამ ჩვენი მგზავრობისთვის 4600 ლარი გამოყო. სემინარების შემდეგ კაბადოკიის დათვლიერება მოვახერხეთ. სხვადასხვა საკითხებშიც ვთანამშრომლობთ კომპანიის გენერალურ დირექტორთან სერგეი ეგანოვთან. ეს ადამიანი ცდილობს, რომ შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთოს. გვაქვს ურთიერთობები და მე მინდა, როგორც პროფკავშირების თავმჯდომარე, ვიყო შემაერთებული რგოლი კომპანიის ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეებს შორის. თუ რამე სასიკეთო გავკეთდა ხელმძღვანელობის მხრიდან, ეს მივიტანო თითოეული მშრომელების ყურამდე. ზოგადად ადამიანური ბუნება ასეთია, რომ ყველაფერი სასიკეთო უნდა, რომ ერთდროულად გავკეთდეს; თუ რამე პრობლემა არსებობს, ერთიანად მოგვარდეს და ა.შ. მაგრამ კარგად ვხედავთ, რა მდგომარეობაშია კომპანია, ამიტომ ყველაფრის სწრაფად და ერთდროულად მოგვარება არ არის მარტივი. ვხედავთ, რომ ბატონი სერგეი ცდილობს მაქსიმუმის გაკეთებას. თანამშრომლების უმრავლესობას ესმის და ხვდება, რომ ჩვენი ასეთი ინტენსიური შეხვედრები ადმინისტრაციასთან შედეგს გამოიღებს. შეიძლება ზოგი თანამშრომელი ვერ გაერკვეს სიტუაციაში, მაგრამ მე ვალდებული ვარ, თითოეულ მათგანს ავუხსნა მდგომარეობა.”

## “არემჯი” ბუნებრივი აირის მილის გადართმას ნოემბერში დასასრულებს

9 ოქტომბერს, კომპანია “არემჯი გოლდ“-მა სალიცენზიო ტერიტორიიდან ბუნებრივი აირის მილის გადატანა დაიწყო. დაახლოებით 1300-მეტრიანი მონაკვეთი, რომელიც საწარმოს ასათვისებელი უბნების სიახლოვეს გადის, სავალი გზის მოპირდაპირე მხარეს გადავა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა № 2, № 3 და № 4 უბნების ათვისება, სადაც ბუნებრივი აირის მილის რადიუსი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 500 მეტრს. აღნიშნულ სამუშაოებს, რომელიც კომპანიის დაფინანსებით ხორციელდება, თვალს ადევნებენ როგორც ეკონომიკის სამინისტროს, ასევე კომპანია “არემჯისა” და საქართველოს ნავთობისა და გაზის



კორპორაციის წარმომადგენლები. ნოემბერში, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ბუნებრივი აირის მილის აღნიშნული მონაკვეთი გადაეცემა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას.